საკანონმდებლო მაცნე

იანვარი 2024
[NO.1] www.bdo.ge

ცვლილება კანონში

შინაარსი

- სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის საკითხები
- სტუდენტების ფინანსური დავალიანება და ამით მიღებული სარგებელი
- ღვინის ტურიზმის და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი
- სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ დივიდენდის განაწილება
- მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმა / გამოყენება
- ფიზიკური პირის ნამეტი შემოსავალი აქტივის მიწოდებიდან

სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის საკითხები

2023 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 3902-XIIIმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება განხორციელდა სსკ-ის რამდენიმე მუხლში, რომელიც ეხება სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის მომწყობი პირების მოგების და, ასევე, მოთამაშის მიერ სათამაშო ანგარიშიდან ან სალაროდან გატანილი თანხების დაბეგვრის საკითხებს.

კერძოდ, ცვლილება განხორციელდა სსკ-ის მე-80 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილებში და 97-ე მუხლის 9^1 ნაწილში, რომლებიც ეხება საშემოსავლო და მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტებს. ცვლილების შედეგად განისაზღვრა საშემოსავლო და მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვისაც, რომლის თანახმადაც, დასაბეგრი მოგება განისაზღვრა მოთამაშეებისაგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობით. ასევე, განისაზღვრა სათამაშო აპარატების მეშვეობით მოწყობილ აზარტულ თამაშობებში მონაწილე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, რომელიც არის ამ პირის მიერ თამაშობის მომწყობი პირისგან გატანილი თანხა.

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე[1]“ ქვეპუნქტის ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირების მსგავსად, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობ პირსაც ეკისრება საგადასახადო აგენტის ვალდებულება მოთამაშეზე თანხის გაცემის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე განხორციელდა სსკ-ის 81-ე მუხლის 3^1 და 3^2 ნაწილებში და 97-ე მუხლის 1 და მე-3 ნაწილებში, რომლებიც ეხება საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთებს. ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ:

- სათამაშო აპარატების სალონის მომწყობ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის საშემოსავლო და მოგების გადასახადის ნაწილში გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15 პროცენტს. ასევე, ცვლილების თანახმად, საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთები აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირებისთვისაც განისაზღვრა 15 პროცენტით, ნაცვლად 10 პროცენტისა
- სათამაშო აპარატების თამაშობებში (რომელიც არ არის მოწყობილი სისტემურ-ელექტრონული ფორმით) მონაწილე პირის მიერ თამაშობაში მონაწილეობის შედეგად გატანილი თანხა იბეგრება გადახდის წყაროსთან 5 პროცენტიანი განაკვეთით. ასევე, შეიცვალა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირთათვის და ნაცვლად 2 პროცენტისა განისაზღვრა 5 პროცენტის ოდენობით.

სსკ-ის 135-ე მუხლის მე-4 ნაწილის ცვლილების თანახმად, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირისთვისაც საანგარიშო პერიოდად განისაზღვრა კალენდარული თვე, როგორც ეს არის აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირისთვის.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

ფინანსური დავალიანების მქონე/ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ მიღებული სარგებელი

2023 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 3958-XIIIმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლში, რომელსაც დაემატა ახალი 87[1] ნაწილი.

ახალი ნაწილის მიხედვით განისაზღვრა, რომ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ საქართველოში კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ფინანსური დავალიანების მქონე / ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის გამოსყიდვის მიზნით აღნიშნული სამინისტროს მიერ გადახდილი თანხით სტუდენტის მიერ მიღებული სარგებელი. გათავისუფლება ასევე შეეხება ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩამოწერით მიღებული სარგებელს.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტი და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი

2023 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 3922-XIIIმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

ცვლილება განხორციელდა სსკ-ის მე-8 მუხლში, რომელშიც წარმოდგენილია ტერმინთა განმარტებები. ცვლილების შედეგად აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი 37[1] და 37[2] ნაწილები და განიმარტა შემდეგი ტერმინები:

- აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი – პირი, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მინიჭებული აქვს აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსი
- ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტი – პირი, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მინიჭებული აქვს ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტის სტატუსი.

ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა 2025 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცებს აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების პრინციპებს, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მოპოვების ან/და გაუქმების წესსა და პირობებს.

ცვლილება ასევე განხორციელდა საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლში, რომელიც ეხება მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებას. ცვლილების შედეგად დამატებით განისაზღვრა, რომ ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტისა და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება იმ შემთხვევაში, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 700 000 ლარს გადააჭარბა.

ცვლილება განხორციელდა 90-ე მუხლშიც, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის დასაბეგრ შემოსავალს და გადასახადის განაკვეთებს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით. ცვლილების შედეგად დამატებით განისაზღვრა, რომ ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტისა და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის შემთხვევებში, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ამ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 700 000 ლარს გადააჭარბა.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

© BDO

სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ დივიდენდის განაწილება

2023 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 4022-XIIIმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოგეხსნებათ, სადაზღვევო ორგანიზაციები მოგების გადასახადის ახალ ე.წ. ესტონურ მოდელზე გადავიდნენ 2024 წლის 1 იანვრიდან. აქედან გამომდინარე, ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლში. აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი 142-ე და 143-ე ნაწილები, რომელთა თანახმადაც განისაზღვრა, რომ თუ სადაზღვევო ორგანიზაცია დივიდენდს გაანაწილებს 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით განაწილებული მოგებისა.

ამასთან დაკავშირებით, 2023 წლის 29 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №517, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად შეიცვალა მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის დანართი №II-08^{6}-ის III ნაწილის „დანართი 1“ და „დანართი 1^{1}“. ასევე, ცვლილებები განხორციელდა აღნიშნული ბრძანების 40^{1} მუხლში, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესს. ცვლილებების შედეგად მოგების გადასახადის დეკლარაციაში დამატებით განისაზღვრა სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ შესავსები გრაფები, რომელიც ეხება 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის შესაბამისად ჩასათვლელი მოცულობის გაანგარიშებას.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის დარიცხული/დაკისრებული მოსაკრებლის თანხა ან/და მასთან დაკავშირებული ჯარიმა და საურავი

2023 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 4014-XIIIმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლში, რომელსაც დაემატა ახალი 144-ე და 145-ე ნაწილები. ახალი ნაწილების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ინფორმაცია:

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად ჩამოწეროს იმ პირის მიერ გადასახდელი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის გათვალისწინებული მოსაკრებლის გადაუხდელი ოდენობა და მასთან დაკავშირებული გადაუხდელი ჯარიმა და საურავი, რომელსაც 2023 წლის 1 დეკემბრამდე შესაბამისი ლიცენზიით (სათანადო დამტკიცებული ათვისების გეგმით ან მის გარეშე) არ უსარგებლია, კერძოდ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი არ ჩამოუსხამს. ამ ნაწილის მოქმედება პირზე ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- შესაბამისი პირი 2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით აღარ ფლობს მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გაცემულ ლიცენზიას
- შესაბამისი პირი 2024 წლის 1 აპრილამდე მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის ლიცენზიის გამცემ ორგანოს მიმართავს ამ ლიცენზიის გაუქმების შესახებ და 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 1 აპრილის ჩათვლით არ ისარგებლებს აღნიშნული ლიცენზიით, კერძოდ, არ ჩამოასხამს მიწისქვეშა მტკნარ წყალს.

309-ე მუხლის 145-ე ნაწილით განისაზღვრა, რომ საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ზემოხსენებული ნაწილით გათვალისწინებული წესი.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 28 დეკემბრიდან.

© BDO

ცვლილება ბრძანებაში

ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

2023 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №497, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

მოგეხსნებათ, 2024 წლის პირველი იანვრიდან არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდად კალენდარული წლის ნაცვლად განისაზღვრება კალენდარული თვე. ანუ ფიზიკური პირი ვალდებულია მიღებული ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია და ამავე ვადაში გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი.

ცვლილების შედეგად აღნიშნულ ბრძანებას დაემატა 33[3] მუხლი და დანართი NII-04[2], რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის ფორმას, მისი წარდგენის ვადას და შევსების წესს. აღნიშნულ დეკლარაციაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

- ქონების/აქტივის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი
- ქონების/აქტივის შეძენის ფასი
- ქონების/აქტივის მიწოდების ფასი
- მიღებული ნამეტი შემოსავლის ოდენობა
- შეღავათის ოდენობა
- გადასახადის განაკვეთი
- კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება 3902-XIIIმს-Xმპ კანონის გამოქვეყნებას საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე ცვლილებას ბრძანებაში გადასახადების ადმინისტრირების შესახებ.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის
განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.